სურათი 1 | თირკმლის - გულის რისკის ფაქტორების მართვა. დიაბეტის და თირკმლის ქრონიკული დაავადების (თქვ) მქონე ადამიანებს უნდა უმყურნალონ ყოვლისმომცველი მიდგომით თირკმლისა და გულ-სისხლძარღვთა შედეგების გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს ყველა პაციენტისთვის ცხოვრების წესის მოდიფიკაციასა და თვითმართვას, რომელზედაც დამუშავებულია პირველი რიგის პრეპარატებით თერაპია კლინიკური მახასიათებლების შესაბამისად (ფრჩხილებში), ნარჩენი რისკის შეფასებით დამატებითი მედიკამენტები თირკმლისა და გულის დადასტურებული ღაცვით და დამატებითი ინტერვენციები, რისკ-ფაქტორების შემდგომი კონტროლისთვის. გლიკემიური კონტროლი ეფუძნება ინსულინის 1 ტიპის დიაბეტისთვის (T1D) და მეტფორმინისა და ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერ-2 ინჰიბიტორების (SGLT2i) კომბინაციას ტიპი 2 დიაბეტისთვის (T2D). მეტფორმინი შეიძლება დაინიშნოს სავარაუდო გლუკოზი ≥ 30 მგ/წთ 1 73 მ²-ზე და SGLT2i უნდა დაინიშნოს, როდესაც eGFR არის ≥ 20 მგ/წთ 1 73 მ²-ზე და გაგრძელდეს ამტანობის შესაბამისად დიალოზის დაწყებამდე ან ტრანსპლანტაციამდე. რენინ-ანგიოტენზინის სისტემის (RAS) დათრგუნვა რეკომენდებულია ალბუმინურიისა და ჰიპერტენზიის (HTN) მქონე პაციენტებში. სტატინი რეკომენდირებულია ყველა პაციენტისთვის, რომელსაც აღენიშნება T1D ან T2D და თქვ. T2D ადამიანებში გლუკოზის დამწევი პრეპარატებიდან უპირატესობა ენიჭება გლუკაგონის მსგავსი პეპტიდ-1 რეცეპტორის აგონისტებს (GLP-1 RA) მაშინ, თუ SGLT2i და მეტფორმინი არასაკმარისია გლუკოზის სამიზნე დონის მისაღწევად ან არ შეუძლიათ SGLT2i ან მეტფორმინის გამოყენება. T2D პაციენტებში არასტეროიდული მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორების ანტაგონისტი (ns-MRA) შეიძლება დაემატოს პირველი რიგის თერაპიას თირკმლის დაავადების პროგრესირებისა და გულ-სისხლძარღვთა მოვლენების მაღალი ნარჩენი რისკების არსებობისას, რაც დასტურდება მუდმივი ალბუმინურიით (>30 მგ/გ [>3 მგ/მმოლ]). ასპირინი ზოგადად უნდა იქნას გამოყენებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეორადი პრევენციისთვის მათ შორის პაციენტებში, რომლებსაც აქვთ დადგენილი გულ-სისხლძარღვთა დაავადება და შეიძლება ჩაითვალოს პირველად პროფილაქტიკად ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადების (ASCVD) მაღალი რისკის პაციენტებში.

ცხოვრების წესი



პირველი რიგის პრეპარატი თერაპია




გლუკემიის, ალბუმინურიის, არტერიული წნევის, კარდიოვასკულური დაავადების რისკის და ლიპიდების რეგულარული ხელახალი შეფასება დამატებითი რისკზე დაფუძნებული თერაპია

სურათი 2 | ჰოლისტიკური მიდგომა დაიბაძეს და თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებში შედეგების გასაუმჯობესებლად.*ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ენზიმის ინჰიბიტორი (ACEi) ან ანგიოტენზინ II რეცეპტორის ბლოკერი (ARB) უნდა იყოს პირველი რიგის თერაპია ჰიპერტენზიისთვის (HTN) ალბუმინურიის არსებობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ასევე განიხილებოდეს დიჰიდროპირიდინის კალციუმის არხის ბლოკერი (CCB) ან მარმდენი; სამივე კლასი ხშირად საჭიროა არტერიული წნევის (BP) მიზნების მისაღწევად. ზინერენი ამჟამად არის ერთადერთი არასტეროიდული მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორების ანტაგონისტი (MRA) დადასტურებული კლინიკური სარგებლით თირკმლისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ. წარმოდგენილი ნახატები მიუთითებს შემდეგ უპირატესობებზე: არტერიული წნევის მანუეტი 1/4 არტერიული წნევის დაქვეითება; გლუკოზური 1/4 გლუკოზის დამწევი; გულის 1/4 გულის დაცვა; თირკმლის 1/4 თირკმლის დაცვა; სასწორი, წონის მართვა; ACR, ალბუმინ-კრეატინინის თანაფარდობა; ASCVD, ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადება; CVD, გულ-სისხლძარღვთა დაავადება; eGFR, გორგლოვანი ფილტრაციის საჯარაო სიჩქარე; GLP-1 RA, გლუკოზის მსგავსი პეპტიდი-1 რეცეპტორის აგონისტი; PCSK9i, პროპროტეინ კონვერტაზა სუბტილიზინი/კვექსინი 9 ტიპის ინჰიბიტორი; RAS, რენინ-ანგიოტენზინის სისტემა; SGLT2i, ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტირ-2 ინჰიბიტორი; T1D, ტიპი 1 დიაბეტი; T2D, ტიპი 2 დიაბეტი.

1.1. რენინ-ანგიოტენზინის სისტემის (RAS) ბლოკადა

რეკომენდაცია 1.2.1: ჩვენ გირჩევთ, რომ დაიბაძეთ, ჰიპერტენზიითა და ალბუმინურიით დაავადებულ პაციენტებში მკურნალობა დაწყებულ იქნას ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ენზიმის ინჰიბიტორით (ACEi) ან ანგიოტენზინ II რეცეპტორის ბლოკერით (ARB) და რომ ამ შედეგების ტიტრაცია მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დასაშვებ დოზამდე, რომელიც იქნება ასატანი პაციენტისთვის (1B)

- პრაქტიკული საკითხი 1.2.1: დაიბაძეთ, ალბუმინურიისა და ნორმალური არტერიული წნევის მქონე პაციენტებისთვის შეიძლება განიხილებოდეს ACEi ან ARB მკურნალობა.
- პრაქტიკული საკითხი 1.2.2: არტერიული წნევის, შრატის კრეატინინისა და შრატის კალეუმის ცვლილებების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ACEi-ს ან ARB-ის დაწყებიდან ან დოზის გაზრდიდან 2-4 კვირის განმავლობაში (სურათი 4).
- პრაქტიკული საკითხი 1.2.3: გააგრძელეთ ACEi ან ARB თერაპია, თუ მკურნალობის დაწყებიდან ან დოზის გაზრდიდან 4 კვირის განმავლობაში შრატის კრეატინინი არ მოიმატებს 30%-ზე მეტით (სურათი 4).
- პრაქტიკული საკითხი 1.2.4: ურჩიეთ კონტრაცეფცია ქალებს, რომლებიც იღებენ ACEi ან ARB თერაპიას და შეწყვიტეთ ეს საშუალებები ქალებში, რომლებიც განიხილავენ ორსულობას ან რომლებიც დაროსულდებიან.
- პრაქტიკული საკითხი 1.2.5: ACEi-ს ან ARB-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ჰიპერკალემიის მართვა უნდა ხდებოდეს კალეუმის საწინააღმდეგო დონისძიებების გატარებით, ვიდრე ACEi-ს ან ARB-ის დოზის შემცირებით ან დაუყოვნებელი შეწყვეტით (სურათი 4).



პრაქტიკული საკითხი 1.2.6: შეამცირეთ ღოზა ან შეწყვიტეთ ACEi ან ARB თერაპია სიმპტომური ჰიპოტენზიის ან უკონტროლო ჰიპერკალიემიის ფონზე, 1.2.5 პრაქტიკულ საკითხში აღწერილი მედიკამენტური მკურნალობის მიუხედავად, ან თირკმლის უკმარისობის მკურნალობისას ურემიული სიმპტომების შესამცირებლად (გ-ფგს <15 მლ/წთ 1,73 მ²-ზე).


პრაქტიკული საკითხი 1.2.7: გამოიყენეთ ერთდროულად მხოლოდ ერთი პრეპარატი RAS-ის დასაბლოკად. ACEi-ს კომბინაცია ARB-თან, ან ACEi-ს ან ARB-ის კომბინაცია რენინის პირდაპირი ინჰიბიტორთან, პოტენციურად საზიანოა.

1.1. ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერი-2 ინჰიბიტორები (SGLT2i)

რეკომენდაცია 1.3.1: ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ პაციენტების მკურნალობას, რომლებსაც აქვთ ტიპი 2 დიაბეტი (T2D), თქვდა გ-ფგს ≥ 20 მლ/წთ 1,73 მ²-ზე SGLT2i (1A).

- პრაქტიკული საკითხი 1.3.1: SGLT2i რეკომენდებულია თირკმლისა და გულ-სისხლძარღვთა დაცვისთვის და ნაჩვენებია, რომ SGLT2i არის უსაფრთხო და აქვს სარგებელი იმ თქვენი პაციენტებშიც კი, ვისაც არ აქვს T2D. ამრიგად, თუ პაციენტი უკვე მყრნალობენ გლუკოზის დამაქვეითებელი სხვა საშუალებებით, SGLT2i შეიძლება დაემატოს მიმდინარე მყრნალობის რეჟიმს (სურათი 6).
- პრაქტიკული საკითხი 1.3.2: SGLT2i-ს არჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს თირკმლის ან გულ-სისხლძარღვთა სისტემის სარგებლის მომტან უკვე დოკუმენტირებულ საშუალებებს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გ-გფს.
- პრაქტიკული საკითხი 1.3.3: მიზანშეწონილია SGLT2i-ის დანიშნვიდან თავის შეკავება ხანგრძლივი შიმშილის, ქირურგიული ჩარევის ან კრიტიკული სამედიცინო მდგომარეობების დროს (როდესაც პაციენტი იმყოფება კეტოზის უფრო მაღალი რისკის ქვეშ).
- პრაქტიკული საკითხი 1.3.4: თუ პაციენტს აქვს ჰიპოვოლემიის რისკი, განიხილეთ თიანთილური ან მარყუჟის დიურეტიკების დოზების შემცირება SGLT2i მყრნალობის დაწყებამდე, აცნობეთ პაციენტს სითხის მოცულობის დაქვეითების სიმპტომებისა და დაბალი არტერიული წნევის შესახებ და თვალყური მიაღვენეთ მოცულობის სტატუსს პრეპარატის დაწყების შემდეგ.
- პრაქტიკული საკითხი 1.3.5: შეიძლება მოხდეს eGFR-ის შექვევადი შემცირება SGLT2i მყრნალობის დაწყებისას და, როგორც წესი, არ არის თერაპიის შეწყვეტის ჩვენება.
- პრაქტიკული საკითხი 1.3.6: SGLT2i-ის დაწყების შემდეგ, მიზანშეწონილია გაგრძელდეს SGLT2i, მაშინაც კი, თუ eGFR დაეცემა 20 მლ/წთ-ზე დაბლა 1,73 მ²-ზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ვერ აიტანება ან არ არის დაწყებული თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია.
- პრაქტიკული საკითხი 1.3.7: SGLT2i არ იყო ადეკვატურად შესწავლილი თირკმლის ტრანსპლანტაციის მიმდებებში, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ SGLT2i მყრნალობით, მაგრამ იმუნოსუპრესიული არიან და პოტენციურად აქვთ ინფექციების გაზრდილი რისკი; ამიტომ, SGLT2i-ს გამოყენების რეკომენდაცია არ ვრცელდება თირკმლის ტრანსპლანტაციის მიმდებებზე (იხ. რეკომენდაცია 1.3.1).

პრაქტიკოსი უქიმის სახელმძღვანელო SGLT2 ინჰიბიტორების დასაწყებად ტიპი 2 დიაბეტის და თქვენი პაციენტებში



სურათი 6 | პრაქტიკული მიდგომა ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერ-2 ინჰიბიტორების (SGLT2i) დასაწყებად პაციენტებში ტიპი 2 დიაბეტით და თირკმლის ქრონიკული დაავადებით (თქდ). * ავადობის დღის პროტოკოლი (დაავადების ან გადაჭარბებული ვარჯიშის ან ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში): დროებით შეწყვიტეთ SGLT2i, გააგრძელეთ სითხის მირეგა და კვება (თუ ეს შესაძლებელია), უფრო ხშირად შეამოწმეთ სისხლში გლუკოზის და კეტონის დონეები და დროულად მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. პერიორვე-დურული/პერიოპერაციული მოვლა: პაციენტების ინფორმირება დიაბეტური კეტოაციდოზის რისკის შესახებ; SGLT2i გაუქმება დღის პროცედურების დღეს და შიმშილის შეზღუდვა საჭირო მინიმუმამდე; SGLT2i მოხსნა სულ მცირე 2 დღით ადრე და პროცედურების/ოპერაციის დღეს, რომელიც მოითხოვს 1 ან მეტ დღეს საავადმყოფოში და/ან ნაწლავის მომზადებას (რაც შეიძლება მოითხოვდეს გლუკოზის დამაქვეითებელი სხვა პრეპარატების გაზრდას ამ დროის განმავლობაში), გაზომეთ სისხლში როგორც გლუკოზის, ასევე კეტონის დონე საავადმყოფოში (გააგრძელეთ პროცედურა/ოპერაცია, თუ პაციენტი კლინიკურად კარგად არის და კეტონები <1,0 მმოლ/ლ) და განაახლეთ SGLT2i პროცედურის/ოპერაციის შემდეგ მხოლოდ ნორმალური კვებისა და სითხის მიღების პირობებში. ადაპტირებული Zoungas S, de Boer IH-დან, SGLT2 inhibitors in diabetic kidney disease. *Clin J Am Soc Nephrol.* 2021;16:631–633.³⁴⁸ Copyright © 2021 ამერიკის ნეფროლოგთა საზოგადოების მიერ. ACR, ალბუმინ-კრეატინინის თანაფარდობა; თმდ, თირკმლის მწვავე დაზიანება; გ-ფგს, გათვლილი გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე; HbA1c, გლიკოზირებული ჰემოგლობინი.

1.4. მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორების ანტაგონისტები (MRA)

რეკომენდაცია 1.4.1: ჩვენ ვთავაზობთ არასტეროიდულ მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორების ანტაგონისტებს პაციენტებს დადასტურებული თირკმლის ან გულ-სისხლძარღვთა სარგებლით, რომლებსაც აქვთ ტიპი 2 დიაბეტი (ტ2დ), გ-ფგს ≥ 25 მლ/წთ 1,73 მ2-ზე, შრატში კალიუმის ნორმალური კონცენტრაცია და ალბუმინურია (≥ 30 მგ/გ [≥ 3 მგ/მმოლ]) მიუხედავად რაას-ინჰიბიტორის მაქსიმალური ტოლერანტული დოზისა (2A).

- პრაქტიკული საკითხი 1.4.1: არასტეროიდული MRA ყველაზე მეტად განკუთვნილია ტ2დ-ის მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც იმყოფებიან თქდ პროგრესირებისა და გულ-სისხლძარღვთა მოვლენების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ, რაც გამოიხატება მუდმივი ალბუმინურიით, სხვა სტანდარტული თერაპიის მიუხედავად.
- პრაქტიკული საკითხი 1.4.2: არასტეროიდული MRA შეიძლება დაემატოს რაას-ს და SGLT2i-ს ტ2დ და თქდ-ს სამკურნალოდ.
- პრაქტიკული საკითხი 1.4.3: ჰიპერკალიემიის რისკის შესამცირებლად, შეარჩიეთ პაციენტები შრატში კალიუმის სტაბილურად ნორმალური კონცენტრაციით და არასტეროიდული MRA-ს დაწყების შემდეგ გააგრძელეთ შრატში კალიუმის რეგულარულად მონიტორინგი.
- პრაქტიკული საკითხი 1.4.4: არასტეროიდული MRA-ს არჩევისას პრიორიტეტული უნდა იყოს თირკმლის ან გულ-სისხლძარღვთა სისტემის დოკუმენტირებული სარგებელი.
- პრაქტიკული საკითხი 1.4.5: სტეროიდული MRA უნდა იქნას გამოყენებული გულის უკმარისობის, ჰიპერალდოსტერონიზმის ან რეფრაქტერული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერკალიემია ან გორგლოვანი ფილტრაციის შექცევა დაქვეითება, განსაკუთრებით დაბალი ფგს-ს მქონე პაციენტებში.

1.5. მოწვევის შეწყვეტა

რეკომენდაცია 1.5.1: ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ დიაბეტის და თქდ-ის მქონე პაციენტებს, რომლებიც იყენებენ თამბაქოს, უარი თქვან თამბაქოს ნაწარმის გამოყენებაზე (1D).

პრაქტიკული საკითხი 1.5.1: ექიმებმა რეკომენდაცია უნდა გაუწიონ დიაბეტით და თქდ დაავადებულ პაციენტებს, აირიღონ მეორადი კვამლის ზემოქმედება.

თავი 2: გლიკემიის მონიტორინგი და სამიზნე მაჩვენებლები დიაბეტითა და თქვით დაავადებულ პაციენტებში

2.1. გლიკემიის მონიტორინგი

რეკომენდაცია 2.1.1: ჩვენ გირჩევთ გამოიყენოთ გლიკირებული ჰემოგლობინი A1c (HbA1c) გლიკემიური კონტროლის მონიტორინგისთვის დიაბეტისა და თქვით (1C) მქონე პაციენტებში.

პრაქტიკული საკითხი 2.1.1: გლიკემიის ხანგრძლივი კონტროლი HbA1c-ით წელიწადში ორჯერ მიზანშეწონილია დიაბეტის მქონე პაციენტებისთვის. HbA1c შეიძლება გაიზომოს წელიწადში 4-ჯერ, თუ გლიკემიის სამიზნე მაჩვენებელი არ არის მიღწეული ან გლუკოზის დამწვევ თერაპიაში ცვლილების შეტანის შემდეგ.

პრაქტიკული საკითხი 2.1.2: HbA1c-ის გაზომვის სიზუსტე მცირდება შორსწასული თქვით (G4-G5)-სას, განსაკუთრებით დიალიზზე მყოფ პაციენტებში, რომლებშიც HbA1c გაზომვებს დაბალი სანდობა აქვს.

პრაქტიკული საკითხი 2.1.3: გლუკოზის მართვის ინდიკატორი (GMI), რომელიც მიღებულია გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის (CGM) მონაცემებიდან, შეიძლება გამოყენებულ იქნას გლიკემიის ინდექსირებისთვის იმ პირებისთვის, რომლებშიც HbA1c არ შეესაბამება სისხლში გლუკოზის პირდაპირ გაზომილ დონეს ან კლინიკურ სიმპტომებს.

პრაქტიკული საკითხი 2.1.4: გლიკემიის ყოველდღიური მონიტორინგი CGM-ით ან სისხლში გლუკოზის თვითკონტროლი (SMBG) შეიძლება დაეხმაროს ჰიპოგლიკემიის თავიდან აცილებას და გლიკემიის კონტროლის გაუმჯობესებას, როდესაც გამოიყენება გლუკოზის დამწვევი თერაპია, რომელიც დაკავშირებულია ჰიპოგლიკემიის რისკთან.

პრაქტიკული საკითხი 2.1.5: ტ2დ და თქვით მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც არ აწარმოებენ გლიკემიის ყოველდღიურ მონიტორინგს CGM ან SMBG-ით, სასურველია გლუკოზის დამწვევი აგენტები, რომლებიც ხასიათდებიან ჰიპოგლიკემიის დაბალი რისკით და ინიშნება გ-ფგს დონის მიხედვით.

პრაქტიკული საკითხი 2.1.6: CGM მოწყობილობები ფუნქციურად სწრაფად ვითარდება მრავალი შესაძლებლობების დამატებით (მაგ., რეალურ დროში და წყვეტილი სკანირებული CGM). ახალი CGM მოწყობილობები წარმოადგენს სარგებელს გარკვეული პაციენტებისთვის, მათი ღირებულებების, მიზნებისა და პრიორიტეტების მიხედვით.

2.2. გლიკემიური სამიზნეები

რეკომენდაცია 2.2.1: ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ HbA1c-ის ინდივიდუალურ სამიზნეს, რომელიც მერყეობს <6.5%-დან <8.0%-მდე პაციენტებში დიაბეტით და თქვით, რომლებიც არ არიან დიალიზზე (სურათი 14) (1C).



შესწორება
 სურათი 14 | ფაქტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გადაწყვეტილებებს ცალკეული გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1c) სამიზნეების შესახებ თქდ CKD, თირკმლის ქრონიკული დაავადება; G1, გ-გფს გორგლოვანი ფილტრაციის სავარაუდო სიჩქარე

პრაქტიკული საკითხი 2.2.1: დაბალი HbA1c სამიზნე მაჩვენებელი უსაფრთხოდ მიღწევას (მაგ., <6.5% ან <7.0%) შეიძლება ხელი შეუწყოს CGM ან SMBG და გლუკოზის დამწვევი ისეთი საშუალებების შერჩევამ, რომლებიც ნაკლებად იწვევენ ჰიპოგლიკემიას.

პრაქტიკული პუნქტი 2.2.2: CGM ისეთი საზომი, როგორცაა “დრო საზღვრებში” და “დრო ჰიპოგლიკემიაში”, შეიძლება ჩაითვალოს HbA1c-ის ალტერნატივად ზოგიერთ პაციენტში გლიკემიის სამიზნე დონის მისაღწევად.

თავი 3: ცხოვრების წესის ჩარევები დიაბეტით და თქდ-ით დაავადებულ პაციენტებში

3.1. კვება

პრაქტიკული პუნქტი 3.1.1: შაქრიანი დიაბეტის და თქდ-ის მქონე პაციენტებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ბოსტნეულს, ხილს, მარცვლეულს, ბოჭკოს შემცველ პროდუქტებს, პარკოსნებს, მცენარეული ცილებს, უჯერ ცხიმებს და თხილეულს; და უფრო მცირე რაოდენობით უნდა მიირთვან დამუშავებული ხორცი, რაფინირებული ნახშირწყლები და ტკბილი სასმელი.

რეკომენდაცია 3.1.1: ჩვენ გირჩევთ, შევინარჩუნოთ ცილის მიღება 0.8 გ ცილა/კგ (წონა)/დღე-ღამეში დიაბეტით და თქდ-ით დაავადებულთათვის, რომლებიც არ არიან დიალიზზე (2C).

პრაქტიკული საკითხი 3.1.2: პაციენტები, რომლებიც მკურნალობენ ჰემოდიალიზით და განსაკუთრებით პერიტონეალური დიალიზით, უნდა მიიღონ 1.0-დან 1.2 გ ცილა/კგ წონაზე/დღე-ღამეში.

რეკომენდაცია 3.1.2: ჩვენ გთავაზობთ, რომ ნატრიუმის მიღება იყოს <2 გ ნატრიუმი დღე-ღამეში (ან <90 მმოლ ნატრიუმი დღე-ღამეში, ან <5 გ ნატრიუმის ქლორიდი დღე-ღამეში) დიაბეტის და თქდ-ის მქონე პაციენტებში (2C).

პრაქტიკული საკითხი 3.1.3: საერთო გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს პაციენტზე ორიენტირებული კვების მენეჯმენტის ქვაკუთხედი დიაბეტით და თქდ-ით დაავადებულ პაციენტებში.

- პრაქტიკული საკითხი 3.1.4: კვების აკრედიტებული პროვაიდერები, რეგისტრირებული დიეტოლოგები და დიაბეტის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პერსონალი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკები, თანაბარი კვალიფიკაციის მრჩეველები ან სხვა ჯანდაცვის მუშაკები უნდა იყვნენ ჩართულნი დიაბეტით და თქვით დაავადებული პაციენტების მულტიდისციპლინურ კვებაში.
- პრაქტიკული საკითხი 3.1.5: ჯანდაცვის პროვაიდერებმა უნდა გაითვალისწინონ კულტურული ნაირფეროვნება, საკვების აუტანლობა, ცვალებადობა საკვების წარმომავლობაში, საკვების მომზადების უნარები, თანმხლები დაავადებები და ხარჯები, როდესაც პაციენტებს და მათ ოჯახებს აძლევენ რეკომენდაციას კვების თაობაზე.

3.1. ფიზიკური აქტივობა

რეკომენდაცია 3.2.1: ჩვენ გირჩევთ, რომ შაქრიანი დიაბეტის და თქვით მქონე პაციენტებს მიეცით რეკომენდაცია ზომიერი ინტენსივობის ფიზიკური აქტივობის თაობაზე კვირაში მინიმუმ 150 წუთის კუმულაციური ხანგრძლივობით, ან იმ დონემდე, რომელიც შეესაბამება მათ გულ-სისხლძარღვთა და ფიზიკურ ტოლერანტობას (1D).

- პრაქტიკული საკითხი 3.2.1: ფიზიკური აქტივობის რეკომენდაციები უნდა ითვალისწინებდეს ასაკს, ეთნიკურ წარმომავლობას, სხვა თანმხლები დაავადებების არსებობასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობას.
- პრაქტიკული საკითხი 3.2.2: პაციენტებმა თავი უნდა აარიდონ ცხოვრების მჯდომარე წესს
- პრაქტიკული საკითხი 3.2.3: დაცემის მაღალი რისკის მქონე პაციენტებს, ჯანდაცვის პროვაიდერებმა უნდა მიაწოდონ რჩევები ფიზიკური აქტივობის ინტენსივობის (დაბალი, ზომიერი ან მაღალი) და ვარჯიშების ტიპზე (აერობული ან ანაერობული, ან ორივე ერთად).
- პრაქტიკული საკითხი 3.2.4: ექიმებმა სიმსუქნის, დიაბეტის და თქვით მქონე პაციენტებს უნდა ურჩიონ/წაუხალისონ წონის კლება, განსაკუთრებით კი იმათ, ვისი გ-ფგს ≥ 30 მლ/წთ 1,73 მ²-ზე.

თავი 4: გლუკოზის დამწევი თერაპია ტ2დ და თქვ პაციენტებში

- პრაქტიკული საკითხი 4.1: გლიკემიის მენეჯმენტი ტ2დ და თქვ პაციენტებისთვის უნდა მოიცავდეს ცხოვრების წესის გაჯანსაღებას, პირველი რიგის მკურნალობას მეტფორმინისა და ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერ-2 ინჰიბიტორს (SGLT2i) კომბინაციის სახით და დამატებით მედიკამენტურ თერაპიას გლიკემიის დონის მიხედვით (სურათი 23).
- პრაქტიკული საკითხი 4.2: მეტფორმინითა და SGLT2i მკურნალობა ტ2დ, თქვ და გ-ფგს ≥ 30 მლ/წთ 1 73 მ²-ზე პაციენტთა დიდი ნაწილისთვის სარგებლის მომტანია
- პრაქტიკული საკითხი 4.3: საჭიროების შემთხვევაში პაციენტის პრეფერენციები, თანმხლები დაავადებები, გ-ფგს და ფასი უნდა განსაზღვრავდეს საკითხს გლიკემიის სამართავად დამატებითი მედიკამენტის ჩართვის თაობაზე ისეთი, როგორცაა გლუკაგონის მსგავსი პეპტიდი-1 რეცეპტორის აგონისტი (GLP-1 RA) (სურათი 25).




ცხოვრების წესის გაჯანსაღება

ფიზიკური აქტივობა
კვება
წონის კლება



პირველი
რიგის
თერაპია




- ხელმძღვანელობს პაციენტის პრეფერენციებით, თანხმობები დაავადებით, გ-გფს და ფასით
- მოიცავს პაციენტებს გ-გფს <30 მლ/წთ-ში 1,73მ2 ან რომლებიც დიალიზით მკურნალობენ იხ.სურათი 25



გლიცემიის კონტროლისთვის საჭიროებისამებრ დამატებითი მედიკამენტური თერაპია

სურათი 23 | მკურნალობის ალგორითმი გლუკოზის დამწვევი მედიკამენტების შერჩევისთვის ტიპი 2 დიაბეტით (ტ2დ) და თირკმლის ქრონიკული დაავადების (თქდ) მქონე პაციენტებისთვის. თირკმლის ნახატი მიუთითებს გ-გფს-ზე (მლ/წთ 1,73 მ2-ზე); დიალიზის აპარატის ნახატი მიუთითებს დიალიზზე. DPP-4, დიპეპტიდილ პეპტიდაზა-4; GLP-1, გლუკაგონის მსგავსი პეპტიდი-1; SGLT2, ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერი-2; TZD, თიაზოლიდინედიონი.



სურათი 25 | პაციენტის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გლუკოზის დამწევი მედიკამენტების შერჩევაზე, გარდა ნატრიუმ-გლუკოზის კოტრანსპორტერ-2 ინჰიბიტორისა (SGLT2i) და მეტფორმინისა ტიპი 2 დიაბეტის (ტ2დ) და თირკმლის ქრონიკული დაავადების (თქდ) დროს. AGI, ალფა-გლუკოზიდაზას ინჰიბიტორი; ASCVD, ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადება; DPP4i, დიპეპტიდილ პეპტიდაზა-4 ინჰიბიტორი; გათვლილი გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე (გ-გფს); GLP1RA, გლუკაგონის მსგავსი პეპტიდ-1 რეცეპტორის აგონისტი; SU, სულფონილმარდოვანა; TZD, თიაზოლიდინედიონი.


4.1. მეტფორმინი

რეკომენდაცია 4.1.1: ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ ტ2დ, თქდ და გ-გფს ≥ 30 მლ/წთ 1,73 მ2 მქონე პაციენტების მეტფორმინით მკურნალობას (1B).

პრაქტიკული საკითხი 4.1.1: თირკმლის ტრანსპლანტატის, ტ2დ და გ-გფს ≥ 30 მლ/წთ 1,73 მ2-მქონე პირების მეტფორმინით მკურნალობა, ტ2დ და თქდ მქონე პაციენტებისთვის რეკომენდაციების შესაბამისად.

პრაქტიკული საკითხი 4.1.2: გ-გფს-ს მონიტორინგი პაციენტებში, რომლებიც მკურნალობენ მეტფორმინით.

გაზარდეთ მონიტორინგის სიხშირე, როდესაც გ-გფს არის < 60 მლ/წთ 1,73 მ2-ზე (სურათი 27).



სურათი 27 | შემოთავაზებული მიდგომა მეტფორმინის დოზირებისას თირკმლის ფუნქციის დონის მიხედვით. გ-გფს, გათვლილი გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე (მლ/წთ 1.73 მ2-ზე);

პრაქტიკული საკითხი 4.1.3: დაარეგულირეთ მეტფორმინის დოზა, როდესაც გ-გფს არის <45 მლ/წთ 1,73 მ2-ზე და ზოგიერთისთვის მაშინაც კი, როდესაც გ-გფს არის 45-59 მლ/წთ 1,73 მ2-ზე (სურათი 27).

პრაქტიკული საკითხი 4.1.4: პაციენტების მონიტორინგი B12 ვიტამინის დეფიციტზე, როდესაც ისინი მკურნალობენ მეტფორმინით 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

4.2. გლუკაგონის მსგავსი პეპტიდ-1 რეცეპტორის აგონისტები (GLP-1 RA)

რეკომენდაცია 4.2.1: ტ2დ და თქდ პაციენტებში, რომლებმაც ვერ მიაღწიეს ინდივიდუალურ სამიზნე გლიცემიის დონეს, მიუხედავად მეტფორმინისა და SGLT2i მკურნალობისა, ან რომლებსაც არ შეუძლიათ ამ მედიკამენტების გამოყენება, ჩვენ გირჩევთ ხანგრძლივი მოქმედების GLP-1 RA -ს(1B) გამოყენებას.

პრაქტიკული საკითხი 4.2.1: GLP-1 RA-ს არჩევსას პრიორიტეტული უნდა იყოს აგენტები, რომლებსაც აქვთ დოკუმენტირებული გულ-სისხლძარღვთა სარგებელი.

პრაქტიკული საკითხი 4.2.2: გასტროინტესტინური გვარდითი ეფექტების შესამცირებლად, დაიწყეთ GLP-1 RA-ს დაბალი დოზით და ნელ-ნელა გააქეთეთ ტიტრაცია (სურათი 29).

GLP-1 RA	დოზა	თქდ რეგულირება
დულაგლუტიდი	0.75 მგ და 1.5 მგ კვირაში ერთხელ	დოზის ცვლილების გარეშე გამოიყენეთ გ-გფს >15 მლ/წთ 1,73მ2 დროს
ექსენატიდი	10 µგ დღე-ღამეში ორჯერ	გამოიყენეთ CrCl >30 მლ/წთ დროს
გახანგრძლივებული გამოთავისუფლების ექსენატიდი	2 მგ კვირაში ერთხელ	გამოიყენეთ გ-გფს >45 მლ/წთ 1,73 მ2-ზე
ლირაგლუტიდი	1.2 მგ და 1.8 მგ დღე-ღამეში ერთხელ	დოზის ცვლილების გარეშე შეზღუდული მონაცემები მძიმე თქდ-სთვის
ლიქსისენატიდი	10 µგ და 20 µგ დღე-ღამეში ერთხელ	დოზის ცვლილების გარეშე შეზღუდული მონაცემები მძიმე თქდ-სთვის არ არის რეკომენდებული გ-გფს <15 მლ/წთ 1 73 მ2-ზე
სემაგლუტიდი (საინექციო)	0.5 მგ და 1 მგ კვირაში ერთხელ	დოზის ცვლილების გარეშე შეზღუდული მონაცემები მძიმე თქდ-სთვის
სემაგლუტიდი (პერორალური)	3 მგ, 7 მგ ან 14 მგ დღე-ღამეში ერთხელ	დოზის ცვლილების გარეშე შეზღუდული მონაცემები მძიმე თქდ-სთვის

სურათი 29 | დოზირება ხელმისაწვდომი გლუკაგონის მსგავსი პეპტიდ-1 რეცეპტორის აგონისტებისთვის (GLP-1 RA) და დოზის მოდიფიკაცია თირკმლის ქრონიკული დაავადებისთვის (თქდ). CrCl, კრეატინინის კლირენსი; გ-გფს, გათვლილი გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე.

პრაქტიკული საკითხი 4,2,3: GLP-1 RA არ უნდა იქნას გამოყენებული დიპეპტიდილ პეპტიდაზა-4 (DPP-4) ინჰიბიტორებთან ერთად.

პრაქტიკული საკითხი 4,2,4: ჰიპოგლიცემიის რისკი ზოგადად დაბალია GLP-1 RA-ს გამოყენებისას, როდესაც გამოიყენება ცალკე, მაგრამ რისკი იზრდება, როდესაც GLP-1 RA გამოიყენება სხვა მედიკამენტებთან ერთად როგორცაა სულფონილმარდოვანა ან ინსულინი. შესაძლოა საჭირო გახდეს სულფონილმარდოვანას და/ან ინსულინის დოზის შემცირება.

პრაქტიკული საკითხი 4,2,5: GLP-1 RA შეიძლება იყოს უპირატესად გამოყენებული პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ სიმსუქნე, ტ2დ და თქდ, რათა ხელი შეუწყოს გამიზნულ წონის კლებას.

თავი 5: მიდგომები დიაბეტის და თქვ-ს მქონე პაციენტების მართვისადმი

5.1 თვით-მართვის საგანმანათლებლო პროგრამები

რეკომენდაცია 5.1.1: ჩვენ გირჩევთ, რომ განხორციელდეს სტრუქტურირებული თვითმართვის საგანმანათლებლო პროგრამა დიაბეტით და თქვ-ით დაავადებული ადამიანების მოვლის მიზნით (სურათი 30) (1C).

ძირითადი მიზნებია:

დიაბეტთან დაკავშირებული ცოდნის, შეხედულებების და უნარების გაუმჯობესება
თვითმართვის და თვითმოტივაციის გაუმჯობესება
ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და შენარჩუნების წახალისება
სისხლძარღვთა რისკ-ფაქტორების გაუმჯობესება
მედიკამენტებთან, გლუკოზის მონიტორინგთან და გართულებების სკრინინგ პროგრამებთან დაკავშირებით ჩართულობის გაზრდა
დიაბეტთან დაკავშირებული გართულებების თავიდან ასაცილებლად (ან უკეთესად სამართავად) რისკის შემცირება
ემოციური და გონებრივი კეთილდღეობის, მკურნალობით კმაყოფილების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება

სურათი 30 | დიაბეტის თვითმართვის ეფექტური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი მიზნები. ლიტერატურა- The Lancet Diabetes & Endocrinology, volume 6, Chatterjee S, Davies MJ, Heller S, Speight J, Snoek FJ, Khunti K. Diabetes structured self-management education programmes: a narrative review and current innovations, pages 130–142, Copyright © 2018, with permission from Elsevier.

პრაქტიკული საკითხი 5.1.1: ჯანდაცვის სისტემებმა უნდა განიხილონ მაქრიაანი დიაბეტით და თქვ-ით დაავადებული პაციენტებისთვის სტრუქტურირებული თვითმართვის პროგრამის განხორციელება, ადგილობრივი კონტექსტის, კულტურისა და რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.


5.2. გუნდზე დაფუძნებული ინტეგრირებული ზრუნვა

რეკომენდაცია 5.2.1: ჩვენ გთავაზობთ, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის გამტარებლებმა და გადაწყვეტილების მიმღებებმა ინსტიტუციებმა განხორციელონ გუნდზე დაფუძნებული, ინტეგრირებული ზრუნვა, რომელიც ორიენტირებულია რისკის შეფასებაზე და პაციენტების განათლებით შეიარაღებაზე, რათა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი დახმარება დიაბეტით და თქვ-ით (2B) დაავადებულ პაციენტებში.

პრაქტიკული საკითხი 5.2.1: გუნდზე დაფუძნებული ინტეგრირებული ზრუნვა, რომელიც მხარდაჭერილია გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუციებით, უნდა უზრუნველყონ ექიმებმა და არაექიმმა პერსონალმა (მაგ., გაწვრთნილი ექთნები და დიეტოლოგები, ფარმაცევტები, ჯანდაცვის ასისტენტები, საზოგადოების მუშაკები და თანაბარი კვალიფიკაციის მხარდამჭერები) სასურველია თქვ-ს ცოდნაზე დაყრდნობით (სურათი 35)

სუბოპტიმალური კონტროლის მქონე სუსტად ინფორმირებული პაციენტები

სუბოპტიმალური კონტროლის მქონე სუსტად ინფორმირებული პაციენტები



სურათი 35 | გუნდზე დაფუძნებული ინტეგრირებული ზრუნვა, რომელსაც ახორციელებენ ექიმები და არაექიმი პერსონალი, რომელსაც მხარს უმაგრებს გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუციები

BP - არტერიული წნევა.

გაიდლაინის რედაქტირება განხორციელდა საქართველოს დიალიზის,
ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის მიერ.

პროექტის მხარდამჭერი

